

# წესდება

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი

## საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია Georgian Laboratory Association



თბილისი  
2021

## შინაარსი:

მუხლი 1.	ზოგადი დებულებები .....	3
მუხლი 2.	ასოციაციის საქმიანობის მიზნები .....	4
მუხლი 3.	ასოციაციის დამფუძნებლები .....	6
მუხლი 4.	ასოციაციის წევრები .....	6
	4.1. ასოციაციის ნამდვილი წევრი	
	4.2. ასოციაციის საპატიო წევრი	
	4.3. წევრობის შეჩერება ან შეწყვეტა	
	4.4. წევრთა უფლება-მოვალეობები	
მუხლი 5.	ასოციაციის მართვა .....	8
მუხლი 6.	ასოციაციის ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობა.....	8
მუხლი 7.	წევრთა საერთო კრება .....	8
	7.1. - საერთო კრების მოწვევა	
	7.2. - გადაწყვეტილების მიღება	
	7.3. - საერთო კრების წარმართვა	
	7.4. - საერთო კრების კომპეტენციები და უფლებამოსილებები	
მუხლი 8.	გამგეობა .....	10
	8.1. გამგეობის სტატუსი	
	8.2. გამგეობის წევრობა	
	8.3. გამგეობის თავჯდომარე	
	8.4. გამგეობის უფლებები და მოვალეობები	
	8.5. გამგეობის სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი	
მუხლი 9.	აღმასრულებელი დირექტორი .....	13
	9.1. აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა	
	9.2. აღმასრულებელი დირექტორის უფლება-მოვალეობა	
	9.3. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტა	
	9.4. ინტერესთა კონფლიქტი	
მუხლი 10.	ასოციაციის კომიტეტი .....	15
მუხლი 11.	ასოციაციის მრჩეველთა საბჭო (და საპატიო თავჯდომარე) .....	15
	11.1. მრჩეველთა საბჭოს სტატუსი	
	11.2. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა	
	11.3. ასოციაციის საპატიო თავჯდომარე	
	11.4. მრჩეველთა საბჭოს კომპეტენციები	
მუხლი 12.	ასოციაციის ქონება და ანგარიშგება .....	16
	12.1 – ქონება	
	12.2 – ფინანსური წყაროები	
	12.3 – საწევრო შენატანი	
	12.4 – ქონების გამოყენება	
	12.5 – წლიური ანგარიშგება ბიუჯეტისა და ქონების შესახებ	
მუხლი 13.	ასოციაციის რეორგანიზაცია / ლიკვიდაცია .....	18
	13.1 – რეორგანიზაციის და/ან ლიკვიდაციის საფუძველი	
	13.2 – რეორგანიზაციის და/ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება	
	13.3 – ლიკვიდაცია	
	13.4 - ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება	
მუხლი 14.	დასკვნითი დებულებები .....	19
	14.1 - დავის გადაწყვეტა	
	14.2 - დებულების ხარვეზის შესახებ	
	14.3 -წესდების ძალაში შესვლა	
	14.4 -წესდების ცვლილება	

## მუხლი 1

### ზოგადი დებულებები

- 1.1. „საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია“ (შემდგომში - “ასოციაცია“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ **წევრობაზე დაფუძნებულ** არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;
- 1.2. ასოციაციის სახელწოდებაა: „საქართველოს ლაბორატორიების ასოციაცია“ (ინგლისურად: „Georgian Laboratory Association“). შემოკლებული სახელწოდებაა: „საქლაბი“ (ინგლისურად: „GeLab“);
- 1.3. ასოციაციის ვებგვერდი: [www.gelab.org.ge](http://www.gelab.org.ge)
- 1.4. ელექტრონული ფოსტის მისამართი: [gelab@gelab.org.ge](mailto:gelab@gelab.org.ge) ([georgian\\_labs@hotmail.com](mailto:georgian_labs@hotmail.com))
- 1.5. ასოციაცია დაფუძნებულად ჩაითვალა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან: 5 აგვისტო, 2013 წ. (ს/კ 405003810);
- 1.6. ასოციაციას შეუძლია ჰქონდეს იურიდიული პირის სხვადასხვა რეკვიზიტი (სიმბოლოები/ლოგო, ბეჭედი), ასევე ქონება, საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში;
- 1.7. ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების და ამ წესდების საფუძველზე;
- 1.8. ასოციაცია დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანიზაციებისაგან, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და შეუძლია მათთან ითანამშრომლოს ხელშეკრულების ან მემორანდუმის საფუძველზე;
- 1.9. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, შექმნილია განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც;
- 1.10. ასოციაცია, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაცია პასუხისმგებელია მხოლოდ თავის ვალდებულებებზე, თავისი ქონების ფარგლებში. ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ასოციაცია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის;

1.11. ასოციაცია, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია;

1.12. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

## მუხლი 2

### ასოციაციის საქმიანობის მიზნები

ასოციაცია დაფუძნდა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის მდგრად განვითარებას, რაც მოიცავს სხვადასხვა ტიპის (ტესტირების, დაკალიბრების, სასწავლო-სამეცნიერო) ლაბორატორიების დახმარებას შესაბამის სფეროებში ტექნიკური კომპეტენტურობის, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გაუმჯობესების საქმეში (ტესტირებისა და დაკალიბრების ლაბორატორიებისთვის – ISO/IEC17025, სამედიცინო ლაბორატორიებისთვის – ISO15189). ეს კი, თავის მხრივ უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებული აკრედიტაციის მიღებას და მის წარმატებით შენარჩუნებას. ასოციაციის ძირითადი მიზნებია:

**ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმის შექმნა და განმტკიცება**, რომელიც უნდა ემსახუროდეს ლაბორატორიული საქმიანობით დაინტერესებული ყველა მხარის (მომხმარებელი, კერძო ბიზნეს-სექტორი, მათ შორის ასოციაციები, სამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის მარეგულირებელი და ხარისხის მართვის ორგანოები, საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვა) კომუნიკაციას, მათი მოთხოვნების და მოსაზრებების შეგროვებას, გაანალიზებას და შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებას, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციული ვაკუუმის აღმოფხვრას, კონკრეტული ლაბორატორიების პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენებას, ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას და შესაბამისად, ქვეყანაში ლაბორატორიული მომსახურების გაუმჯობესებას;

#### ტექნიკური დახმარების გაწევა:

- კონსულტაციები, ტრენინგები, სასწავლო კურსები როგორც პროგრამული, ასევე ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად (ლაბორატორიის მენეჯმენტი, მეტროლოგია ქიმიკაში: მიკვლევადობა მეთოდების ვერიფიკაცია/ვალიდაცია, გაზომვის განუსაზღვრელობა, უსაფრთხოება, ნარჩენების მართვა და ა.შ.);

- საკვალიფიკაციო ტესტირებების და ლაბორატორიათშორისი შედარებების (PT/ILC) ორგანიზების ხელშეწყობა, როგორც ადგილობრივად, ასევე საერთაშორისო მასშტაბით;
- შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებში დახმარება, რაც მოიცავს მოწყობილობების, სახარჯი მასალების (მათ შორის რეაქტივები, სტანდარტები, CRM-ები), LIMS-ის, ტექნიკური მომსახურების, ე.წ. სერვის-ინჟინრების მომსახურების და სხვა სახის შესყიდვებს;
- პროფესიული და ტექნიკური ლიტერატურით (მეთოდების, რეგულაციების, სტანდარტების, სახელმძღვანელოების და ა.შ.) ლაბორატორიების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს ამ მასალების მოძიებას, ხარისხიან თარგმნას, გამოქვეყნებას ბეჭდური და/ან ციფრული მეთოდებით და ა.შ.

**ადამიანურ რესურსებზე ზრუნვა**, რაც მოიცავს ლაბორატორიების პერსონალის უფლებების დაცვას, პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას, სასწავლო პროცესებში მათ ჩართვას, ლაბორატორიული სამუშაოებისთვის დარგის ახალი სპეციალისტების, მათ შორის ახალგაზრდების მოზიდვას, მათი პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლის და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის ხელშეწყობას და ა.შ.

**პარტნიორ ორგანიზაციებთან, კოლეგებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა**, რაც მოიცავს მათ მოძიებას, როგორც ადგილობრივად, ასევე საზღვრებს მიღმა, კონტაქტების დამყარებას, დარგობრივ ასოციაციებთან თანამშრომლობას /გაწევრიანებას (მაგ.: EURACHEM, EUROLAB და ა.შ.), ერთობლივი შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზებას, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას/დანერგვას და სხვა;

**გრანტების, დონორების, და სხვა ფინანსური დახმარებების მოძიება** შემდეგი მიზნებისათვის:

- ასოციაციის ვებგვერდის შექმნა ლაბორატორიების საძიებო მონაცემთა ბაზით;
- ლაბორატორიების მატერიალურ – ტექნიკური ბაზით აღჭურვა;
- სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობების წარმოება;
- გამოგონებებისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
- საინფორმაციო ჟურნალის გამოცემა;
- სარეკლამო და საინფორმაციო მიზნებისთვის დოკუმენტური ფილმების გადაღების ხელშეწყობა;
- სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება
- და სხვა.

**საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება**, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, ჩართულები იქნებიან ზემოთ აღნიშნულ პროცესებში.

### მუხლი 3

#### ასოციაციის დამფუძნებლები

ასოციაციის დამფუძნებელია ყველა ის პირი, ვინც ხელი მოაწერა ასოციაციის დაფუძნების დოკუმენტებს (წესდებას, დაფუძნების ოქმს).

წესდების მოცემული (განახლებული) ვერსიის მიხედვით, დამფუძნებლის უფლება-მავალეობები შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით.

ასოციაციის დამფუძნებელია: ნინო მანველიძე.

### მუხლი 4

#### ასოციაციის წევრები

ასოციაციის წევრობა ნებაყოფლობითია. ასოციაციას ჰყავს ნამდვილი და საპატიო წევრები.

**4.1. ასოციაციის ნამდვილი წევრი** (შემდგომში „წევრი“) შეიძლება გახდეს როგორც საქართველოს, ასევე სხვა სახელმწიფოს ნებისმიერი **იურიდიული პირი**, რომელიც იზიარებს ასოციაციის წესდებას.

ასოციაციის ნამდვილ წევრად მიღებისთვის საჭიროა:

- ასოციაციის წევრობის მსურველი განაცხადით მიმართავს ასოციაციის გამგეობას (**განაცხადის ფორმა** ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებ გვერდზე, ან მისი მიღება შესაძლებელია ასოციაციის წარმომადგენლებისგან);
- ასოციაციის გამგეობა წევრად მიღების გადაწყვეტილებას განმცხადებელს აცნობებს პირადად ან ელექტრონული ფოსტით, არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში;
- წევრობაზე დადებითი გადაწყვეტილების შეტყობინების თარიღი ითვლება იურიდიული პირის (განმცხადებლის) ასოციაციაში გაწევრიანების თარიღად;
- გადაიხადოს ყოველწლიური საწევრო გადასახადი, ასოციაციის მხრიდან მოწოდებული ინვოისის საფუძველზე.

**4.2. ასოციაციის საპატიო წევრი** (შემდგომში „საპატიო წევრი“) შეიძლება გახდეს საქართველოს და სხვა სახელმწიფოს ნებისმიერი **ფიზიკური პირი**, რომელიც იზიარებს ასოციაციის წესდებას. საპატიო წევრი, როგორც წესი, არის **მრჩეველთა საბჭოს** წევრი (იხ. მუხლი 11).

ასოციაციის საპატიო წევრად მიღება:

- ფიზიკური პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით და მრჩეველთა საბჭოს თანხმობით, შეიძლება მიღებულ იქნეს **საპატიო წევრად**;
- საპატიო წევრი არ იხდის საწევრო გადასახადს.

### 4.3. წევრობის შეჩერება ან შეწყვეტა

ასოციაციის წევრობის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, რისი საფუძველიც შეიძლება იყოს:

- წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ან საზოგადოებრივი ეთიკის ნორმებს;
- წევრმა, როგორც იურიდიულმა პირმა, განიცადა ლიკვიდაცია;
- წევრის პირადი სურვილით, რისთვისაც მან გამგეობას უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით.

წევრობიდან გასული პირის უფლება-მოვალეობები:

- უფლება არ აქვს მოითხოვოს რაიმე კომპენსაცია ასოციაციის ქონებიდან;
- უნდა შეასრულოს დარჩენილი ვალდებულებები, კერძოდ, უნდა დაფაროს მიმდინარე სამეურნეო წლის დარჩენილი საწევრო გადასახადი;
- წევრობის გადაცემა სხვა პირისათვის ან მისი მემკვიდრეობით გადასვლა დაუშვებელია;
- გარიცხულ წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

### 4.4. წევრთა უფლება-მოვალეობები

ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

- ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში აქტიური ჩართულობა;
- მონაწილეობა ასოციაციის ორგანოების არჩევნებში;
- საკუთარი წარმომადგენლ(ებ)ის ამ ორგანოების წევრად და/ან ასევე სხვადასხვა ღონისძიების (პროგრამა, პროექტის შემუშავება, განხილვა და ა.შ.) განსახორციელებლად წარდგენა;
- მიიღოს ყველა ინფორმაცია ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებისგან მათი საქმიანობის შესახებ;
- ისარგებლოს პრივილეგიებითა და შეღავათებით, ასოციაციის მიერ მოწოდებული მომსახურებით, ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და ქონებით, როგორც ამას, ასოციაციის ინტერესების გათვალისწინებით, დაადგენს ასოციაციის გამგეობა;
- მიმართოს ასოციაციას რათა მისთვის პრობლემატური საკითხი განხილულ იყოს რიგგარეშედ და გაეწიოს შესაბამისი პროფესიული დახმარება და კოლეგიალური თანადგომა;
- წარმოადგინოს თავისი ხედვები წესდებით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და მოითხოვოს ასოციაციის გამგეობისგან განხილული იქნას შესაბამისი თემატიკა. ასეთ შემთხვევაში წევრი შეიძლება თავად გახდეს კონკრეტული თემის ირგვლივ ჩასატარებელი სამუშაოების კოორდინტორი და ასოციაციისგან მიიღოს შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური დახმარება;

- მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის წევრებისთვის მოწყობილ შეხვედრებით, დასასვენებელ თუ გასართობი სახის ღონისძიებებში;
- შეწყვიტოს თავისი წევრობა კავშირში წესდებით დადგენილი წესით;

ასოციაციის წევრი მოვალეა:

- დაიცვას ასოციაციის წესდება და ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- გაიზიაროს ასოციაციის მიზნები და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას;
- გაუფრთხილდეს ასოციაციის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
- დაესწროს ასოციაციის საერთო კრებას;
- მოიზიდოს ის პირები, რომელთა ასოციაციაში გაწევრიანება დაეხმარება ასოციაციის საქმიანობას. გაუწიოს მათ შესაბამისი რეკომენდაცია;
- ასოციაციაში მოღვაწეობდეს ურთიერთგაგების და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაყრდნობით;
- იყოს კეთილგანწყობილი ასოციაციის სხვა წევრების მიმართ და თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მზად იყოს მათ დასახმარებლად;
- გადაიხადოს საწევრო შესატანი გამგეობის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

## მუხლი 5

### ასოციაციის მართვა

ასოციაციის მართვისა და კონტროლის ორგანოებს წარმოადგენენ ასოციაციის:

- წევრთა საერთო კრება (იხ. მუხლი 7)
- გამგეობა (იხ. მუხლი 8)
- აღმასრულებელი დირექტორი (იხ. მუხლი 9)
- დროებითი ან მუდმივი კომიტეტი (იხ. მუხლი 10)

## მუხლი 6

### ასოციაციის ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობა

ასოციაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი (იხ. მუხლი 9).

## მუხლი 7

### წევრთა საერთო კრება

ასოციაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს **წევრთა საერთო კრება**, რომელიც ტარდება რიგითობის პრინციპით, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე საერთო კრებაც.



## 7.1. საერთო კრების მოწვევა

- წევრთა საერთო კრება მოიწვევა გამგეობის მიერ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს ასოციაციის წევრებს;
- საერთო კრების მოწვევის შესახებ წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით, სადაც აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი. მოსაწვევი შეიძლება გაიგზავნოს წერილით ან ელ-ფოსტით. ასევე, მოსაწვევი გაგზავნილად ჩაითვლება, თუ შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე;
- რიგგარეშე კრების მოწვევა შესაძლებელია, როგორც გამგეობის ინიციატივით, ასევე აღმასრულებელი დირექტორის ან ასოციაციის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით, გარკვეული მიზნისა და საფუძვლის მითითებით, რაც აღნიშნული უნდა იყოს კრების დღის წესრიგში. რიგგარეშე კრება უნდა ჩატარდეს მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვისა;
- კრება შეიძლება ჩატარებული იქნას როგორც ასოციაციის ადგილსამყოფელზე, ისე გამგეობის მიერ შერჩეულ სხვა ადგილას ან დისტანციურად, სხვადასხვა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.
- საერთო კრების დღის წესრიგს ადგენს გამგეობა. გამგეობამ დღის წესრიგის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს და შეიტანოს საკითხი, რომელსაც მოითხოვს ასოციაციის წევრთა სულ მცირე 1/10 ნაწილი.

## 7.2. გადაწყვეტილების მიღება

- წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მიუხედავად ხმის უფლების მქონე დამსწრეთა რაოდენობისა. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე ან წარმოდგენილ წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში განხილული საკითხი მიიჩნევა მიღებულად;
- გამონაკლისია ის კრებები, რომელზეც გადაწყვეტილებები მიიღება ასოციაციის გაუქმების, ან წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
  - o გადაწყვეტილება ასოციაციის გაუქმების ან გარდაქმნის შესახებ მიიღება დამსწრე წევრთა ხმების 3/4-ით;
  - o წესდების შეცვლის თაობაზე - დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით;
  - o ასოციაციის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა 4/5-ს;
- თანამდებობების დაკავებისას, როდესაც მრავალი კანდიდატი მონაწილეობს, ის კანდიდატი ითვლება გამარჯვებულად, რომელიც მეტ ხმას მიიღებს;
- ასოციაციის თითოეულ წევრს კენჭისყრისას აქვს თითო ხმა. დასაშვებია ხმის უფლების გადაცემა სხვა წევრისათვის წერილობითი მინდობილობის საფუძველზე;
- საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ფარული ან ღია კენჭისყრით. კენჭისყრის სახეობას განსაზღვრავს თვით საერთო კრება;
- საერთო კრების გადაწყვეტილება ნამდვილია, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, შეტანილია საერთო კრების დღის წესრიგში.

საკითხი, რომელიც არ იყო წინასწარ შეტანილი დღის წესრიგში, კრებაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნით შეიძლება იქნას შეტანილი დღის წესრიგის პუნქტში „სხვადასხვა“.

### **7.3. საერთო კრების წარმართვა**

- წევრთა საერთო კრებას უძღვება ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში - გამგეობის სხვა წევრი;
- საერთო კრებაზე წევრთა დასწრების აღრიცხვას ახორციელებს კრების მდივანი;
- საერთო კრების ჩატარების დროს მზადდება ოქმი, რომელშიც მიეთითება კრების ჩატარების ადგილი, დრო, დამსწრეთა რაოდენობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

### **7.4. საერთო კრების კომპეტენციები და უფლებამოსილებები**

- ასოციაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ან წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
- ასოციაციის მიზნების შეცვლა;
- ახალი გამგეობის არჩევა და/ან დათხოვნა;
- გამგეობისგან მიღებული საქმიანობის, ფინანსური ანგარიშის და სტრატეგიული მიმართულებების დამტკიცება;
- საჭიროების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტიების მიღება პირის ასოციაციის წევრად მიღების და წევრობიდან გარიცხვის შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს წევრების კანდიდატურების წარდგენა;
- მრჩეველთა საბჭოს კონსულტაციების და შეფასებების გათვალისწინება;
- ასოციაციის რეორგანიზაციის და/ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ლიკვიდატორის დანიშვნა წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- სხვა საკითხები კანონისა და წესდების თანახმად.

## **მუხლი 8**

### **გამგეობა**

გამგეობის ძირითადი ამოცანაა დაიცვას ასოციაციის მიზნები და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

#### **8.1 გამგეობის სტატუსი**

- გამგეობა წარმოადგენს ასოციაციის ერთ-ერთ მმართველ ორგანოს, წევრთა საერთო კრების შემდეგ;
- გამგეობის წევრები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ, როგორც წესი, ანაზრაურების გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მათ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

## 8.2. გამგეობის წევრობა (და თავჯდომარე)

- გამგეობის წევრად შეიძლება ნომინირებული იქნეს ასოციაციის ნებისმიერი წევრის (იურიდიული პირის) წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელიც არ წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას, არ არის აფილირებული მასთან და არ არის პოლიტიკური თანამდებობის პირი;
- გამგეობის ახალი წევრობის კანდიდატურის წარდგენა შეუძლიათ ასოციაციის და თავად გამგეობის წევრებს, აღმასრულებელ დირექტორს, და ასოციაციის ნებისმიერ თანამშრომელს;
- აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება ამავე დროს იყოს გამგეობის წევრი.
- გამგეობა შედგება სულ მცირე სამი (3) და არა უმეტეს ხუთი (5) წევრისაგან, რომელთაც 3 წლის ვადით ირჩევს წევრთა საერთო კრება;
- პირი გამგეობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორი ვადით;
- პირი, რომელიც არ იმყოფება წევრთა საერთო კრებაზე, შეიძლება აირჩეს გამგეობის წევრად, თუ არსებობს მისი წინასწარი თანხმობა აღნიშნულის შესახებ;
- გამგეობის წევრობის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, გამგეობის სხდომებში არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 4-ჯერ მონაწილეობის მიუღებლობა;
- გამგეობის რომელიმე წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა, ბოლო საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული კენჭისყრით. ამ სახით ახლად არჩეული გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება გამგეობის წევრების გეგმიურ არჩევნებამდე.

## 8.3. გამგეობის თავჯდომარე

- ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს, გამგეობის წევრთაგან, მაქსიმუმ სამი წლის ვადით ირჩევს გამგეობა, რიგითი საერთო კრების შემდეგ, პირველსავე სხდომაზე;
- თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს;
- თუ თავმჯდომარე, ახალი თავმჯდომარის არჩევამდე ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, ასეთ შემთხვევაში მისი ფუნქციების შესრულება ევლება გამგეობის უხუცეს წევრს;
- გამგეობის თავმჯდომარე წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
- ხელმძღვანელობს საერთო კრებას, გამგეობის საქმიანობას, ადგენს გამგეობის სხდომების დღის წესრიგს და უძღვება გამგეობის სხდომებს.
- გამგეობის თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნამდე ასრულებს მის ფუნქციებს;
- თავმჯდომარე, არყოფნის შემთხვევაში, კრების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას წერილობით გადასცემს გამგეობის სხვა წევრს;
- თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების

ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის, შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

- გამგეობაში მოღვაწეობისთვის, გამგეობის თავმჯდომარის საქმიანობა არ ანაზღაურდება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

#### **8.4. გამგეობის უფლებები და მოვალეობები**

- წევრთა საერთო კრების ორგანიზება. კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ სულ ცოტა ერთი თვით ადრე აცნობებს ასოციაციის წევრებს;
- ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;
- ასოციაციის საქმიანობის, ბიუჯეტის და ქონების შესახებ, აღმასრულებელი დირექტორის მიერ შედგენილი ანგარიშის განხილვა და წევრთა საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სტრატეგიული განვითარების გეგმის, საბიუჯეტო პარამეტრების და წლიური ბიუჯეტის შემუშვება;
- ასოციაციის თანამშრომელთა სახელფასო ფონდის დადგენა;
- ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურის განახლება;
- ფარული კენჭისყრით და ხმათა უმრავლესობის პრინციპით, გამგეობის თავმჯდომარის, მისი მოადგილის და აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა ან თანამდებობიდან გადაყენება;
- წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესების დადგენა;
- საწევრო შენატანის ოდენობის დადგენა;
- ასოციაციის წევრად მიღების საკითხების გადაწყვეტა, მათ შორის ახალი წევრების მიღება;
- სარეკომენდაციო წერილით მიმართავს ასოციაციის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- ამტკიცებს საერთო კრების მიერ წარდგენილი საპატიო წევრობის კანდიდატურების სიას და ადგენს საპატიო წევრების პრივილეგიებს;
- საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის სხდომებზე იწვევს და ისმენს ასოციაციის ნებისმიერი თანამშრომლის (მათ შორის: პროგრამების, პროექტების, ასოციაციის მიერ დაუფუძნებული იურიდიული პირების, ასოციაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელების / თანამშრომლების) ანგარიშებს;
- იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს;
- აფუძნებს ასოციაციის საწარმოებს და ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;
- საჭიროების შემთხვევაში ფინანსური აუდიტორების მოწვევა;
- ასოციაციის რეორგანიზაციის და/ან ლიკვიდაციის პროცესის წარმართვა;

- წესდებით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტა, რაც არ შედის სხვა მმართველი ორგანოების (წევრთა საერთო კრების და მრჩეველთა საბჭოს) კომპეტენციაში.

### **8.5. გამგეობის სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი**

- გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე, რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ გამგეობის თავმჯდომარის მიერ ან აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივით;
- გამგეობის სხდომის მოწვევა წერილობით შეიძლება მოითხოვოს აგრეთვე გამგეობის წევრმა ან ასოციაციის წევრთა არანაკლებ 1/3-მა;
- გამგეობის სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ გამგეობის სხდომის ჩატარებამდე სამი დღით ადრე მაინც;
- გამგეობა გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ რომელიმე წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია მისცეს ხმა წერილობით, ან მინდობილობით გადასცეს ხმის უფლება გამგეობის სხვა წევრს. დაუსწრებლად კენჭისყრაში მონაწილეობისა და საკუთარი მოსაზრების შესახებ, გამგეობის წევრმა უნდა აცნობოს გამგეობას სხდომის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე მაინც;
- გამგეობის სხდომა შეიძლება ჩატარდეს ან მასში გამგეობის წევრმა მონაწილეობა მიიღოს დისტანციური საშუალებების გამოყენებით (ინტერნეტი, ტელეფონი და სხვა);
- გამგეობის წევრს ასევე უფლება აქვს, წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამოხატოს პოზიცია განსახილველი საკითხის მიმართ და ამ სახით მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით, გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად გათვალისწინებული არ არის ფარული კენჭისყრის ჩატარება;
- გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა;
- გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოადგილის ხმა;
- აღმასრულებელი დირექტორი გამგეობის სხდომებში მონაწილეობს ხმის უფლების გარეშე;
- გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე.

## **მუხლი 9**

### **აღმასრულებელი დირექტორი**

აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

#### **9.1. აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა**

- აღმასრულებელ დირექტორს ოთხი (4) წლის ვადით ნიშნავს გამგეობა;

- აღმასრულებელ დირექტორთან იდება შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე;
- ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება იწყება მისი დანიშვნის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისი წესით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე;
- დირექტორის ვადამდე ადრე გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ გამგეობას, იმ შემთხვევაში, თუ ის არაჯეროვნად ან საერთოდ არ ასრულებს წესდებით ან/და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობებს, ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამოდ იქცევა. გამგეობა ასეთი ქმედების დადგომიდან ან/და ასეთი ქმედების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განიხილავს აღმასრულებელი დირექტორის გათავისუფლების და ახალი აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნის საკითხს. საბოლოო გადაწყვეტილება განისაზღვრება კენჭისყრით;
- იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი დირექტორი ამავდროულად არის გამგეობის წევრი, ის არ მონაწილეობს გათავისუფლებასთან დაკავშირებულ კენჭისყრაში. თუ კენჭისყრის დროს ხმები თანაბრად განაწილდება, გამგეობამ უნდა მოიწვიოს საერთო კრება და ხმათა უბრალო უმრავლესობის პრინციპით მიღებული უნდა იყოს საბოლოო გადაწყვეტილება.

## **9.2. აღმასრულებელი დირექტორის უფლება-მოვალეობა**

- მოქმედებს ასოციაციის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულების ფარგლებში წარმოადგენს გამგეობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, გარდა გამგეობის და გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილებაში არსებული საკითხებისა;
- ახორციელებს ასოციაციის მიზნებს/პოლიტიკას;
- გაწეული საქმიანობის შესახებ ახარებს გამგეობას ფინანსურ და სხვა ანგარიშებს არანაკლებ წელიწადში ერთხელ;
- გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს ასოციაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;
- ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;
- ახორციელებს სახსრების მოზიდვისკენ მიმართულ საქმიანობას და წარმართავს ურთიერთობებს დონორ ორგანიზაციებთან;
- ასოციაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს პროგრამებთან/პროექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- წარმოადგენს თანამშრომელთა ინტერესებს გამგეობის და წევრთა საერთო კრების წინაშე;
- უძღვება ასოციაციის წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით;
- ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც ემსახურება ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს და არ განეკუთვნება საერთო კრების ან/და გამგეობის კომპეტენციას;

- განსაზღვრავს და ამტკიცებს ასოციაციაში მომუშავე სხვადასხვა პერსონალის (ბუღალტრის, კონსულტანტების, კონტრაქტორების და ა.შ.) ანაზღაურებასთან დაკავშირებულ წესებს.
- ასოციაციის გამგეობასთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს ასოციაციის თანამშრომლებს და პროექტების კოორდინატორებს.

**9.3. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს:**

- პირადი განცხადება;
- მის მიერ წესდებით ან/და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების, უფლებამოსილების გადამეტების, ან ორგანიზაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო ქცევა;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი უუნაროდ ცნობა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და სხვა;

**9.4. ინტერესთა კონფლიქტი**

- ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს უფლება არ აქვს ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება მისთვის წესდებით და შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების განხორციელებას;
- ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური თანამდებობის პირი.

**მუხლი 10**

**ასოციაციის კომიტეტი**

- ასოციაციის ფარგლებში შეიძლება დროებითი თუ მუდმივი ფუნქციების განსახორციელებლად ჩამოყალიბდეს შესაბამისი კომიტეტი;
- კომიტეტი შეიძლება ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფის, სათათბირო ორგანოს, ან საბჭოს სახით;
- ასოციაციის კომიტეტს ქმნის და მის მიზნებსა და ფუნქციებს ადგენს გამგეობა საკუთარი შეხედულებისამებრ;
- კომიტეტს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც კომიტეტის წევრებისგან ირჩევს კომიტეტის შემადგენლობა;
- კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს კომიტეტის საქმიანობას, წარმოადგენს მას წევრთა საერთო კრებაზე და/ან გამგეობის სხდომაზე.

**მუხლი 11**

**ასოციაციის მრჩეველთა საბჭო და საპატიო თავჯდომარე**

ასოციაციის საპატიო წევრები (იხ. მუხლი 4) ქმნიან მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, ე.წ. ასოციაციის საპატიო თავჯდომარე.

### 11.1. მრჩეველთა საბჭოს სტატუსი

- ასოციაციაში საპატიო წევრების შემადგენლობით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, არ წარმოადგენს ასოციაციის მმართველ ორგანოს;
- მრჩეველთა საბჭო გამგეობას აწვდის სხვადასხვა რეკომენდაციას ასოციაციის მიზნების და ამოცანების წარმატებით განხორციელებასთან დაკავშირებით;
- მრჩეველთა საბჭოს წევრები (საპატიო წევრები) თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე;
- მრჩეველთა საბჭოს წევრები აირჩევა წევრთა საერთო კრების რეკომენდაციით.

### 11.2. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა

- მრჩეველთა საბჭოს რაოდენობა განუსაზღვრელია;
- პირის საბჭოს (საპატიო) წევრად არჩევამდე, აუცილებელია მისი თანხმობა.

### 11.3. ასოციაციის საპატიო თავმჯდომარე

- ასოციაციის საპატიო თავმჯდომარე აირჩევა მრჩეველთა საბჭოს მიერ;
- ის წარმართავს მრჩეველთა საბჭოს საქმიანობას;
- საპატიო თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს ასოციაციის ავტორიტეტის ამაღლება;
- საპატიო თავმჯდომარეს არ ეკისრება ასოციაციის მართვის ვალდებულება;

### 11.4. მრჩეველთა საბჭოს კომპეტენციები

- მრჩეველთა საბჭომ სარეკომენდაციო გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სხდომის გამართვის გარეშე. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სულ მცირე 1/3-მა წევრმა;
- მრჩეველთა საბჭოს თითოეულ (საპატიო) წევრს, უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დამოუკიდებლად მისცეს რეკომენდაცია გამგეობას / ასოციაციის წარმომადგენლებს, რასაც არა აქვს სავალდებულო ძალა.
- 

## მუხლი 12

### ასოციაციის ქონება და ანგარიშგება

**12.1.** ასოციაციის ქონებას შეადგენს მისი ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, სხვა სახის ფასეულობები, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.

ასოციაცია უფლებამოსილია საკუთრებაში იქონიოს როგორც უძრავი (შენობა-ნაგებობები), ასევე მოძრავი ქონება.

### 12.2. ფინანსური წყაროები

ასოციაციის ქონება შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა წყაროდან, კერძოდ:

- საწევრო შენატანები;
- დამხმარე სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
- შემოწირულობები;



- გრანტები;
- საქველმოქმედო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- სესხით ან კრედიტით მიღებული სახსრები;
- სხვა შემოსავლები, რომლებიც აკრძალული არ არის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

### 12.3. საწევრო შენატანი

- საწევრო შენატანი წამოადგენს ასოციაციის დაფინანსების ძირითად წყაროს;
- საწევრო შენატანის ყოველწლიური ოდენობა განისაზღვრება გამგეობის მიერ;
- ყოველწლიური საწევროს გადახდა ხდება ერთჯერადად ან ნაწილ-ნაწილ გამგეობის მიერ დადგენილი წესით;
- ასოციაციის წევრებს უფლება აქვთ საწევრო გადაიხადონ დადგენილზე მეტი ოდენობით.

### 12.4. ქონების გამოყენება

- ასოციაციის ქონება და მიღებული შემოსავლები გამოიყენება მხოლოდ ასოციაციის საწესდებო მიზნების განსახორციელებლად (მაგ.: კონფერენციების, შეხვედრების, გამოფენების მოსაწყობად, აგრეთვე სხვა პროექტებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად);
- ასოციაციის საქმიანობიდან მიღებული ამონაგები გამოიყენება პირველ რიგში ხარჯების დასაფარავად და ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად;
- ასოციაციის შემოსავლების, მათ შორის დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია;
- ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ ეს ემსახურება ასოციაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას ან ემსახურება ქველმოქმედებას;
- ვალდებულებების წარმოშობის შემთხვევაში ასოციაციის პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

### 12.5. წლიური ანგარიშგება ბიუჯეტისა და ქონების შესახებ

- ასოციაცია საქმიანობს წლიური ბიუჯეტის მიხედვით;
- ბიუჯეტისა და ქონების შესახებ საანგარიშო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს;
- ასოციაცია ვალდებულია აწარმოოს საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით;
- საბუღალტრო აღრიცხვის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

- ასოციაციის დირექტორმა, ყოველი საანგარიშო წლის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში, უნდა შეადგინოს წლიური ანგარიშგება ასოციაციის საქმიანობის, ბიუჯეტისა და ქონების შესახებ (წლიური ბალანსი) და წარუდგინოს გამგეობას;
- გამგეობამ ერთი თვის ვადაში უნდა შეამოწმოს წლიური ანგარიში ასოციაციის ბიუჯეტის და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და შესაბამისი ანგარიში წარუდგინოს ასოციაციის წევრებს.

### **მუხლი 13**

#### **ასოციაციის რეორგანიზაცია / ლიკვიდაცია**

ასოციაციის რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **13.1. რეორგანიზაციის / ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება იყოს:**

- გამგეობის წინადადება;
- ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება;
- დასახული მიზნების მიუღწევლობის შემთხვევა;
- სასამართლოს გადაწყვეტილება;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები: ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

#### **13.2. რეორგანიზაციის / ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის საერთო კრება.**

- ასოციაციის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია შესაძლებელია წევრთა რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც მოწვეულია მხოლოდ ამ მიზნით;
- რიგგარეშე კრების მოსაწვევში უნდა აღინიშნოს კრების მოწვევის მიზანი. წევრთა რიგგარეშე კრება მოიწვევა, მოსაწვევის ჩაბარებიდან სამი კვირის ვადაში;
- ასოციაციის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შესახებ განცხადების წარდგენა შეუძლია გამგეობას ან წევრთა სულ მცირე 1/3-ს;
- რიგგარეშე კრება, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შესახებ, გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია წევრთა არანაკლებ 2/3-ით;
- ასოციაციის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ კრებაზე დამსწრე წევრთა ან მათ წარმომადგენელთა ხმათა 3/4-ის უმრავლესობით;

#### **13.3. ლიკვიდაცია**

- ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, არსებული ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ

კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს, კერძოდ მსგავსი მიზნების მქონე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას გამოიტანს ასოციაციის განსაკუთრებული კრება;

- გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

#### **13.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება**

- დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ასოციაციის წევრთა საერთო კრება. ასოციაციის ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
  - o გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
  - o ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
  - o ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის;
- თუ ასოციაციის წევრების საერთო კრება არ განსაზღვრავს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს, სასამართლო ასოციაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ჰქონდა ასოციაციას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
- ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ასოციაციის გამგეობა ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. გამგეობის გადაწყვეტილებით აღნიშნულის განხორციელება შეიძლება დაევალოს გამგეობის ერთ ან რამდენიმე წევრს. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

### **მუხლი 14**

#### **დასკვნითი დებულებები**

##### **14.1. დავის გადაწყვეტა**

- ასოციაციის წევრებს, ასევე ასოციაციასა და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო;

- ასოციაციასა და მესამე პირებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **14.2. დებულების ხარვეზის შესახებ**

- თუ წინამდებარე წესდების რომელიმე დებულება ბათილად არის ცნობილი, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე. ამ შემთხვევაში წესდების დანარჩენი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე;
- ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი;

#### **14.3. წესდების ძალაში შესვლა**

წინამდებარე წესდება (განახლებული ვერსია) ძალაში შედის დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

#### **14.4. წესდების ცვლილება**

წესდების შემდგომი ცვლილება, ან მისი შემდგომი რედაქცია, ძალაში შედის წევრთა საერთო კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, გამგეობის თავჯდომარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან, და არ საჭიროებს სავალდებულო რეგისტრაციას, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.